



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აგმაშenebeli ბაზ. 150  
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502  
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6669  
07/11/2022

6669-21-2-202211071042



ლევან იოსელიანს

ელექტრონული ფოსტა: [Ioselianilevan@gmail.com](mailto:Ioselianilevan@gmail.com)

2022 წლის 3 ნოემბრის N6135 წერილის პასუხად, გიგზავნით მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. იაღლუჯაში, შპს „ქართლი ჯენერეიშენის“ მიერ, 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და 110/35 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმს, ასევე საჯარო განხილვაში მონაწილეთა სიას.

გაცნობებთ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები, ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა) მასალებში დაფარულია (გადაშტრიხულია) პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

დანართი: ტექსტის მიხედვით

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



**მარნეულის მუნიციპალიტეტში, 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა და 110 კილოვოლტი ძაბვის ქვესადგურის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმი**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 5 აგვისტოს, 13:00 საათზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ქართლი ჯენერეიშენის“, შპს „ენვისოს“ და მარნეულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა.

საჯარო განხილვა გახსნა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა. წარმომადგენელმა განმარტა საჯარო განხილვის დღის წესრიგი (პრეზენტაციის გაცნობის და კითხვა-პასუხის რეჟიმის თანმიმდევრობა). ამასთან, ისაუბრა განხილვის საგანზე, შეხვედრის მიზანზე და წარმოდგენილი პროექტის სკოპინგის ანგარიშის ზოგად სტრუქტურაზე. შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით, დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა, მათ შორის სკოპინგის ეტაპის მნიშვნელობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სააგენტოს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა სკოპინგის პროცედურის დროს საჯარო განხილვის ჩატარების და მოსახლეობის მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მნიშვნელობას. სააგენტოს წარმომადგენელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მათი უფლება გამოეთქვათ შენიშვნები/მოსაზრებები პროექტთან დაკავშირებით, რომელსაც შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სააგენტო გაითვალისწინებს სკოპინგის დასკვნის მომზადების პროცესში. სააგენტოს წარმომადგენელმა მოუწოდა საჯარო განხილვაში მონაწილეებს, რომ ჯერ მოესმინათ სკოპინგის ანგარიშის პრეზენტაცია, ხოლო პროექტის პრეზენტაციის დასრულების შემდგომ ყველა მსურველს მიეცემოდა აზრის გამოხატვის და კითხვის დასმის შესაძლებლობა.

დამსწრე საზოგადოებას, 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა და 110 კილოვოლტი ძაბვის ქვესადგურის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის შესახებ პრეზენტაცია გააცნო შპს „ენვისოს“ წარმომადგენელმა. წარმოდგენილი პრეზენტაცია მოიცავდა დაგეგმილი საქმიანობის ზოგად დახასიათებას, მათ შორის მზის ელექტროსადგურის პანელების შესახებ ინფორმაციას და ასევე 110 კილოვოლტი ძაბვის ქვესადგურისა და 110 კვ ძაბვის მიწისზედა ეგხ-ის განთავსების საკითხებს. პროექტის უკეთესად ვიზუალიზაციისთვის პრეზენტატორმა მოსახლეობას წარუდგინა სქემატური ნახაზები. წარმომადგენელმა მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 110 კვ ძაბვის მიწისზედა ეგხ-ის და 110 კილოვოლტი ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაცია. წარმომადგენელმა, მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია მზის ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების, განთავსების შესახებ, მეტი დეტალიზაციისთვის განუმარტა რომ მზის ელექტროსადგური განთავსდება 100 ჰა ფართობის არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, რომელიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული. ასევე დამატებით გააცნო და განუმარტა ეგხ-ის და ქვესადგურის მშენებლობისთვის განკუთვნილი ადგილი. ასევე განუმარტა რომ მზის პანელების მიერ წარმოქმნილი ელ. ენერგია 35 კვ ძაბვიდან გარდაიქმნება 110 კვ-მდე, რომელიც 110 კვ ეგხ-ის მეშვეობით (სიგრძე 2.6 კმ ) მიეწოდება მარნეულის 220 კვ-იან ქვესადგურს.



პრეზენტაციის ბოლოს, მომხსენებელმა მოსახლეობას განუმარტა, რომ გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნება მოსალოდნელი ზემოქმედების სახეების დეტალური ანალიზი, მათ შორის განისაზღვრება პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი პირდაპირი და ირიბი სახის ზემოქმედების საკითხები და მათი შერბილების გზები და ასევე ყურადღება გამახვილდება ეგზ-ის გაყვანა ექსპლუატაციის ფარგლებში ორნითოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ.

მომხსენებლის დასრულების შემდეგ, სააგენტოს წარმომადგენელმა სთხოვა დამსწრე საზოგადოებას დაესვათ კითხვები და გამოეთქვათ შენიშვნები/მოსაზრებები პროექტთან დაკავშირებით. საჯარო განხილვა მალევე გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

საჯარო განხილვის დასრულების შემდგომ სააგენტოს წარმომადგენელი, შპს „ენვისოს“ წარმომადგენელთან ერთად იმყოფებოდა საპროექტო ტერიტორიაზე, სადაც განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება და დასურათება.

### **ოქმის სისწორეს ვადასტურებ**

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს  
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის  
სკოპინგის სამმართველოს  
მთავარი სპეციალისტი



**12.05.2022**

დანართი: კითხვა-პასუხის ცხრილი

შენიშვნის ავტორი	შენიშვნა/მოსაზრება	პასუხის ავტორი	პასუხი/რეაგირება
<p>██████████</p> <p>მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი</p>	<p>დაინტერესდა თუ როგორ ხდება მზის ენერგიის წარმოქმნა და ქვესადგურში მიწოდება, ასევე მზის ელექტრო სადგურის მიერ გამოიმუშავებული ელ. ენერგიის რაოდენობის შესახებ, მისი კითხვა ასევე ეხებოდა აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედებების საკითხებს.</p>	<p>შპს „ენვისო“</p>	<p>შპს „ენვისოს“ წარმომადგენელმა განმარტა რომ მზის პანელებიდან ელ. ენერგია დაბალი სიმძლავრით გროვდება 35 კვ. ქვესადგურში, სადაც ხდება ელ.ენერგიის აწევა 110 კვ-ზე, რის შემდგომ გადაეწოდება ეგხ-ს და მისი მეშვეობით გადაეცემა მარნეულის 220 კვ-იან ქვესადგურს. ასევე განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენურად სახეცვლილია და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებების რისკები ძალიან დაბალია. კომპანიის წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ მზის ელექტრო სადგურის სიმძლავრე შეადგენს 50 მგვტს.</p>
<p>ადგილობრივი მოსახლე</p>	<p>მოქალაქე დაინტერესდა პროექტის ფარგლებში ადგილობრივების დასაქმების საკითხით</p>	<p>შპს „ენვისო“</p>	<p>შპს „ენვისოს“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, ხოლო აღნიშნული საკითხის უფრო დეტალური განხილვა წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ეტაპზე.</p>

მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. იაღლუჯაში, შპს „ქართლი ჯენერეიშენის“ 110 კვ მაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა და 110 კვ მაბვის ქვესადგურის მოწყობა და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვა

[illegible]

[illegible]